ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ63. 63250288**
თარიღი:**28/01/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვარის სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. მოწვეულ იქნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, 2025 წლის 29 იანვარს 11:00 საათზე.სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული საკრებულოს სხდომათა დარბაზი, რესპუბლიკის ქუჩა N6.

მუხლი 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენილ იქნას დღის წესრიგის შემდეგი საკითხები:

1. ინფორმაცია, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 დეკემბრის N22 დადგენილების დაზუსტების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის** მიერ, 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი, დავით ბაღდავაძე/

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ინფრასტრუქტურის,** სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ, 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი, ზურაბ გოგია/

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ზედამხედველობის სამს**ახურის მიერ, 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი, ამირან თედორაძე/

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ეკონომიკური განვითარების,** ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიერ, 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ხელმძღვანელი, ნოე ივანიაძე/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **განათლების, კულტურის,** ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი, ნატალია მანჯგალაძე/

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ** საკითხთა სამსახურის მიერ, 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი, ლევან ახობაძე/

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ადმინისტრაციული სამსახურის** მიერ, 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბეჟან გეგეშიძე/

9. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულ;ოს 2021 წლის 20 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ.შ, მ. ტალაბაძე/

10. სხვადასხვა.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ.N1) მისი გამოცემიდან 1/ერთი/თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი